კითხვები, რომლითაც რადიო თავისუფლებამ თავდაცვის სამინისტროს მიმართა

რადგან ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს ხელისუფლება სამხედრო დრონების წარმოებაზე ლაპარაკობს, მერე კი ხშირად ბუნდოვანი ხდება ხოლმე, როგორ დასრულდა ეს წამოწყება, კითხვებით თავდაცვის სამინისტროს მივმართეთ.

ჩვენ გვაინტერესებდა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უკვე დაუკვეთა თუ არა ახალ პოლონურ-ქართულ კომპანიას გარკვეული რაოდენობის დრონები?
2. როგორი დრონები უნდა აწარმოოს „დელტა ვებემ“? რა ზომის? რა დანიშნულების?
3. რა სახის დრონები სჭირდება საერთოდ საქართველოს - ახლო დაზვერვის დრონები, ტაქტიკური დრონები თუ ოპერატიული დრონები?
4. ეს უნდა იყოს მხოლოდ სადაზვერვო თუ დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატებიც?
5. უპილოტო საფრენი აპარატები, რომლებსაც აწარმოებს ეს კონკრეტული საწარმო, ქართული ჯარისთვის მზადდება თუ მისი ექსპორტია განზრახული?
6. რას გულისხმობს წარმოება - ადგილზე სისტემის აწყობას სხვა ქვეყნებში ნაწარმოები მასალით თუ ადგილზე რაიმეს შექმნა/ წარმოებასაც?
7. რატომ გადაწყდა პოლონელების გამოცდილების გაზიარება და რა ნიშნით შეირჩა სწორედ ეს კომპანია?
8. ადგილზე რა შესაძლებლობები არსებობდა?
9. სავარაუდო მოწინააღმდეგესთან ომის შემთხვევაში, თუ არსებობს გეგმა როგორ გადარჩება დრონების საწარმო და როგორია ეს გეგმა?
10. რომელი ქვეყნის წარმოებისაა უპილოტო საფრენი სისტემების ე.წ. მაკომპლექტებლები (ძრავები, გადამცემი და ა.შ)?
11. რამდენი ცალი დრონი გვჭირდება? და ა.შ.

უწყებამ ამ ეტაპზე არც ერთ ამ შეკითხვას არ უპასუხა.